

1992

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, 1992 წლის 26 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ რამდენჯერმე შესთვაზეს აფხაზეთის ხელმძღვანელებს დაბრუნებულიყვნენ სოხუმში და შეესრულებინათ თავიანთი ფუნქციები, მაგრამ უშედეგოდ, საქართველოს პარლამენტი ცნობად იღებს აფხაზეთის საზოგადოებრიობის მიერ მიღებულ სწორ გადაწყვეტილებას სამთავრობო სტრუქტურის – მინისტრთა კაბინეტის შექმნის შესახებ და მის ხელმძღვანელად თამაზ ნადარეიშვილის არჩევის თაობაზე.

2. საქართველოს პარლამენტი მიესალმება აფხაზი საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილის გადაწყვეტილებას აფხაზეთის ხსნის კომიტეტის შექმნის თაობაზე.

3. გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა გიორგი ხაინდრავას – საქართველოს სახელმწიფო მინისტრს აფხაზეთში და განსაზღვრულ იქნეს მისი უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართებაში.

4. შეიქმნას საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის საქმეთა კომისია, რომელიც განაგრძობს მუშაობას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიერ პარლამენტში წარმოდგენილ მოხსენებაზე და სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას ინფორმაციის გათვალისწინებით წარმოადგენს სრულყოფილ საპარლამენტო დოკუმენტს, აგრეთვე შეიმუშავებს წინადადებებს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის სამართლებრივი ნორმების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

1992 წლის 26 ნოემბერი.

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992-1993, ## 1-4, გვ. 84-85)